



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
SAKREBULO OF MUNICIPALITY OF POTI CITY



ბრძანება:ბ43.43210971

თარიღი:07/04/2021

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მე-5 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომის ჩატარების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გორა კურდღელიას 2021 წლის 31 მარტის №42-4221090118 წერილის (რეგისტრირებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კანცელარიაში 2021 წლის 6 აპრილს №12-43210961-43) და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

- 1.2021 წლის 13 აპრილს 15⁰⁰ საათზე მოწვეულ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე (რიგგარეშე) სხდომა, ხოლო საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართოს 2021 წლის 13 აპრილს 14³⁰ საათზე, თანდართული დღის წესრიგით.
- 2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეონა ახალაიამ უზრუნველყოს საკრებულოს მე-5 (რიგგარეშე) მოწვევის სხდომის ჩატარების ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა.
- 3.„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 62-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი,დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბეჟა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

